1930

# ნიანგი

№ 23



შეხეთ ამ ცოდვილ ხოჭოებს,
გული ბოღმაში ეფლობათ,
რადგან დღითი-დღე წინ მიდის
საბჭოთა აღმშენებლობა.

ცამეტმა წელმა დიადმა
უფრო მოხარა ისინი.
იღრინონ, ნეტავ რას გვავნებს
მათი ბოროტი სისინი?!

# ყულში მოხვდათ




**სამივენი.** (ერთიმეორეს) ვაი ამ ჭამას, ეს უბედურება ლა გვაკლდა!

# წერილი შოლტკორებს

ერთხელ კიდევ
გადავწყვიტე
შევუტიო
წყეულ ბნელეთს,
შოლტკორებო,
ჩვენი დარტყმა
აბა ვის არ
მოიწონებს!
გახსოვთ ყველას
შავი ჟამი:
ვერ ვითვლიდით
მაშინ წყლულებს.
ეხლაც ვხედავთ,
ეხლაც ვხვდებით
იმ დროების
მოციქულებს,
შეხედ ერთი
ა—იმ მსუნაგს
ხუცის „წმინდა“
მამა გაბლავთ.
წინეთ მაგ მგელს,
თქვენც ხომ იცით,
ეკლესია
— ჰქონდა დახლად.
გვერდზე რომ დგას.
კულაკია
ჩვენი მტერი!..
ზურგზე გვაჯდა,
ბოლოს დავცხეთ,
ავურიეთ
მონასტერი!
აგერ იქვე
სხვა ხალხია
კრებულია
[illegible] მრევლის,
ვინც ყოველ ჩვენს
გამარჯვებას
აგინებს და
გულით სწყევლის!
აი ამ ბრბოს
მოგახსენებთ,
თავს ირჩენდა
ჩვენი დავლით.
არა სურდა
გაგვეკაფა
ჩვენც ცხოვრების
გზები სწავლით!
არ უნდოდათ
ჩვენთვის სკოლა,
რომ ეუფლათ
ჩვენზე დიდხანს.
ჩვენთვის არვინ
იმეტებდა
წიგნებსა და
წერა-კითხვას!
მაგრამ დავცხეთ,
ჩამოვაგდეთ,
ის დრო მოვსპეთ,
გავაუქმეთ...
მუშა ხალხი
წინ მივდივართ
და ცხოვრებას
ვაწყობთ უკეთ.
ქარხნებსა და
მშენებლობას
გზას უკაფავთ
უფრო ფართოდ,
რომ წარსული
ტანჯვის შემდეგ
ბოლოს წელში
გავიმართოთ!
რომ არ ვიყოთ
მაჩანჩალა
და სხვებს კუდში
აღარ ვდიოთ.
რომ მსოფლიოს
წინა ქვეყნებს
ეხლავ, მალე
დავეწიოთ!..
შოლტკორებო,
მაგრამ ამას
უნდა შრომა,
უნდა ბრძოლა.
ყოველ სოფელს
ერთი ათად
მოვუმატოთ
უნდა სკოლა.
უნდა დავცხოთ
საბოლოოდ
ცრუ მორწმუნეს
მღვდელს და მკითხავს
ყველამ ხელი
უნდა მივყოთ
სწავლასა და
წერა-კითხვას.
ეხლა სოფლად
საამისოდ
გაიმართა
უკვე ბრძოლა,
მაგრამ უშნოს,
ბიუროკრატს
ყველგან უყვარს
გვერდზე წოლა!
აქაც, ბევრგან
ისევ სძინავთ
და ეს საქმე
გზას ვერ იგნებს
არ აწყობენ
სკოლის ბინებს,
არც იძენენ
მისთვის წიგნებს
არა სწერენ
უცოდინართ,
არ დასდევენ
ამ დიდ საქმეს,
ზოგი ჭერში
ბუზებსა სთვლის,
ზოგი კისერს
უშნოდ აქნევს!..
შოლტკორებო,
დაუნდობლად
ყველა ზარმაცს
ერთად მოსცხეთ!
გეშინოდეთ
ყველას ვინც ეს
დიდი საქმე
დაივიწყეთ!
სწავლის საქმე
უხმობს ყველას
და ვერ იტანს
გვერდის ავლას.
შოლტკორებო,
უფრო მეტი
ყურადღება
უნდა სწავლას!
არ დაინდოთ,
ვინც საძილოდ
ამთქნარებს და
ბჟუტავს თვალებს
დაუნდობლად
შოლტი ყველა
უქნარებს და
მაჩანჩალებს!

შოლტიანი

## შოლტიანს

(ახალდაბა)

დეე შოლტკორის კალამი
შეეხოს საბერძ ქარხანას
და მოსცხოს დაუზოგავად
ზოგიერთ ულიერ „ამხანაგს".

— : —

ასეთი გახლავთ პირველი:
თედო ხაჩიძე გვარადა,
რომელსაც ქარხკომობა აქვს
დაკისრებული ვალადა.
მაგრამ არაფერს აკეთებს,
ძილისთვის ნაბავს თვალებსა
და ინსტრუქციებს „მოღვაწე"
საზრდოთ უნახავს თაგვებსა.

— : —

სხვადასხვა კომისიები
გადაქცეულან ძილათა
და საწარმოვო თათბირიც
აქ ერთხელ შესდგა ძლივათა.

— : —

რის შეჯიბრება, რის ფლავი,
მხოლოდ უსაქმო ყბედობა,
ამ დარგში ჩვენში სუყველას
ემჩნევა უმოქმედობა.

— : —

დამკვრელობაზე ნუ იტყვით,
მათთვის ახალი ხილია,
ძმაო საქარხნო უჯრედებს
დასჩემდათ ტკბილი ძილია.

— : —

ცოტა ზარმაცი ბრძანდება
ალტუხოვ — მექანიკი,
თითი იჯრაზე არ ყოფნის
მას ღვინით სავსე ტიკი.
მუშაობის დროს „ვაჟკაცი"
ბევრჯელ გვინახავს მთვრალია
პარტიის მანდატს ატარებს,
ქარხნისთვის არა სცალია..

— : —

დაზგებმა ძალა წაიღეს
და ყოველ წუთში ტყდებიან,
ყველა მათგანი სიძველით
სულ მალე „დაობდებიან".
ორთქლის ქვაბები ქშინავენ,
აღარ აქვთ „არაქათი"
ვერც შველის მუშის წადილი,
ვერც ლექსის მარიფათი.

— : —

ნედლი მასალის გულისთვის
ხშირად ჩერდება ამხანაგ,
რომ მოეცხოთ — კარგი იქნება
ტრესტში მჯდომ უფროს ამხანაგს,
რომ თავის დროზე არ გვაძლევს
საჭირო დახმარებასა,
არ იწვევს საერთო თათბირს
და არც მუშების კრებასა...

ახალდაბელი

## სამკითხველო

(ველისციხე)

დასეირნობს აქეთ-იქით,
ვერ იპოვა კარგი ბინა,
ამ საკითხზე ბევრს სთხოვა
და ბევრსაც პირში შესცინა.
ბევრი თხოვნით და მუდარით
მთლათ გაუშრა საწყალს
ხახა
და გაჩუმდა, რადგან შველა,
ვერსაიდან ვერა ნახა!

„ლენტო".

## გულნაკლულია

კოხნარის კოოპრატივის მომუშავე ალანიამ
შეჭამა კოოპერატივის რამდენიმე ათასი
მანეთი...

გლეხკორის წერილიდან.



**ლორი.** მაშ ეს სამართალია? მე ლორი მქვია, ამას კი ადამიანი!

## ალბათ, ალბათ!

კორბოულის სეჭციებსა
მუშაობა მართებსთ დიდი,
მდივანი გვყავს ძალზე ფიცხი,
მასთან გლეხი ვილარ მიდის.
სასილოსო მშენებლობას
ყურადღებას არვინ აქცევს.
ხიდ-ბოგირებს ვინ აკეთებს,
სასოფლო გზებს ვინ თაეძებს!
მარშან კოოპერატივისთვის
მოაგროვეს სოფლად ფული,
გაკეთებულს ვერას ვხედავთ,
ალბათ არის გაქრეული!

ჭინჭარი.

## მიმოხილვა

— თუმც ქსოვრისში ჯერაც
თბილა და არ ცივა...
მაგრამ კოლექტივის
გადაიწვა თივა...
კულაკების დარტყმა
ცვივა, ცვივა, ცვივა..,
ვისაც ეს ეხება—
გული არა სტკივა!..

— : —

— ლამის სულმთლად შთანთქა
უვიცობამ, ჭორმა:
სოფელ ომარანი,—
ყუდრო და ბოჭორმა:
გლეხებს სწავლა უნდა,—
გვთხოვენ შველას ძმურსა,—
განგანყოფილება
რად არ იბერტყს ყურსა?!

— : —

— ზომლეთის აღმასკომს,
თუმცა არ ვუტეხთ ომს,
მარა იმის ყოლას—
გვირჩევნოდა სკოლა!
სამ ოთახში ერთი—
მას მაგრად უჭირავს..
ვეხვეწებით მოგვეცეს—
ის კი სხვაგვარ „სწირავს".

— : —

— ორივე გომარეთს—
მისჩანჩალებს ახა..,
მაგრამ „ხელმძღვანელებს"
გაუღიათ ხახა!..
თუმც ყველას სურს სწავლა,—
მათზე არვინ ფიქრობს..,
სოფელ მამულანაც
წყურვილს გულში იქრობს!

— : —

— სოფელ კვალითში ბევრს
შეხვდებით კაი ბიჭს,
მარა, სოფლისათვის
წინ არვინ სდგამს ნაბიჯს,
შემოდგომის თესვა—
ფეხებზე ჰკიდიათ...
თუმცა „რჩეებს" თქმის
მადა აქვთ დიდი!..

— : —

— საზანოს აკლია..
(რა?—მიხვდი მკითხველო!)
ზოგრი რამე... მაგრამ—
უფრო სამკითხველო!..
არც კულტმუშაობა—
არც რადიო არი..,
ვისაც ეს ეხება—
ხომ არ უჭირს ჭარი?!

ტარზან

## სარეწკოოპში

(დარჩეული)

გამგეობის თავმჯდომარე
არის ვალოდია.
მისი რისხვა გლეხებს აწვევს
როგორც ქვა-ლ ადი.
განებივრდა ამხანაგი —
ვით პატარა ბავში,
გლეხკაცობის დანძლევა
უყვარს
ტაში ბიჭო, ტაში!

ვარმა




## მისაბაძი მაგალითი

ამდენხანს ცრუმორწმუნეობას მივდევდი, მეგონა: საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოთ ჩემს ლოცვას ღმერთი შეისმენდა და ძველს დროს დამიბრუნებდა მაგრამ იმედი გამიცრუვდა. საბოლოოდ დავრწმუნდი, ღმერთი არ ყოფილა.

იმავე მიზნის გასახორციელებლად ეხლა სხვაგვარი გზა ავირჩიე. მე და კოლია ჯანაშიამ შევადგინეთ გეგმა და კოლექტიურად გადავწყვიტეთ შრომა...

დღეს ჩვენ არტელი გვაქვს დაარსებული, რომელშიც შედიან პარტ. და კომკავშირელები: 3. ჩაჩუა, ალ. ქვათაძე, სანდრო ბირმიჩაძე, სევასტი ბულუხაძე და სევ. ხუსკივაძე.

რას ვაკეთებთ? — ამას ბოლოს გამოვა. ჯერ-ჯერობით მიზნად გვაქვს კვალითის არტელი დავშალოთ. შემდეგ სხვა იქნება.

ახალი არტელის მეთაური, მღვდელი-დეკანოზი ქ. ხუსკივაძე.

## ეხლავე მოუსპოთ

სოფელ ძევის რაიონის ტყის მცველებმა გადაწყვიტეს ტყით გლეხებს გაუადვილონ შეშის შეძენა. აქნამდის მათ უხდებოდათ ქალაქში ქათმების, ინდაურების და ღვინის ჩატანა, გაყიდვა, ამ ფულით ტყის ბილეთების შეძენა და სხვა ათასი დავიდარაბა.

ეხლა კი, თანახმად ჩვენი გადაწყვეტილების, მათ შეუძლიათ პირდაპირ ჩვენთან წარმოადგინონ: ქათმები, ინდაურები, ღვინოც (შეიძლება ახლად გამოცხობილი კარგი შოთი პურიც), რომლის სამაგიეროთ მათ უბილეთოთ შეუძლიათ ტყიდან რამდენი შეშა და ფიჩხიც უნდათ გაზიდონ...

ამნაირად ჩვენ შეურიგებელ ბრძოლას ვუცხადებთ ბიუროკრატიზმს და ვიწვევთ დანარჩენ რაიონების ტყის მცველებსაც.

ამხ. ძევის ტყის მცველების ჯგუფი.

## საჯარო ვაჭრობა

1931 წლის 1 აპრილს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ს. რუისის კოოპერატივში შემდეგ პირობებზე: საუცხოვო სამსართულიანი ქვითკირის შენობა 62 ოთახით, 17 საუკეთესო საწყობით, 10 ღვინის სარდაფით, 15 ბეღლით.

ამავე დროს ვაჭრობა დანიშნულია კოოპერატივის ავეჯეულობაზე. იყიდება: 10 დოუჯინი ვენის სკამი, 15 საწერი მაგიდა, 4 რკინის სალარო (ცეცხლგამძლე), 30 შკაფი — დავთრებისათვის და სხვა მრავალი წვრილმანი.

მსურველთ აღმასრულებელი სუხია მინდელაული

## საუბარი შარაზე

(სოფ. კასპი)

— თედო! — ამბობენ დიდი ზამთარი უნდა დაგვიდგესო, შენ რას იტყვი?..

— მე რა უნდა ვთქვა, თუ დიდი ზამთარი დაგვიდგა, სიმშილით დამეხოცება საქონელი!

— როგორ, ბზე არა გაქვს?

— ბზე მაქვს, მაგრამ თერთმეტი წლის... არ გამყვება.

— თითქო აი, კრებაზე რომ ილაპარაკეს სილოსის შესახებ კარგი საკვებიაო?!.

— ილაპარაკეს კი, მაგრამ საქმით არაფერი გაუკეთებიათ!

ხეკაკუნა.

## ღვალაძის ოინები

მოსვი—ჭიათურა

დათიკოჯან, გაქექილი რამ ხარო,
„უჩიტელი" საქმეებს კაცს გაუხარო.
კომბინატორს გიწოდებენ ძმანი,
ცუცქირძის ფული შეგიჭამია!

—:—

სოფელ მოხვში სკოლის გამგეთ ბრძანდები,
„შოლტში" მოგცხებ და ნუ გამოჯავრდები...
ვაჟრებს წველობ, აძლევ პურის წიგნაკებს,
რაც დრო გადის, თავში ქარი გიბატებს.

—:—

მორწმუნე ხარ, „ბავში კომსომოლია",
ერთხელ მახსოვს, ავადმყოფს ბოლია.
ვილაც გწყალობს, ისეც გაკომსომოლდი,
ძმა ბიჭებმა გადგიხადეს „პროვოდი".

—:—

ერთ წელიწადს სამი ბავში მონათლე,
ნათლობაში საჩუქრებიც მოაგროვე.
ინვალიდათ თავს ასაღებ ღვალაძე,
და ორმაგათ ფულებს ქაფავ, „მალადეც"!

ხიმტი.

## უ შ ვ ე ლ ე თ!



არც საწყობები, არც ბინა
შიგა სწევს კოკისპირულად.
ნოქრები, მომხმარებლები
ავდარს ებრძვიან გმირულად.
აქეთ ღვარს მიაქვს ფართალი
იქით მარილი, შაქარი.
ეზოში მარტოდ ფრიალებს
საანგარიშო დავთარი.
წაქცევაზეა შენობა,
ძლივს იმაგრებენ ბოძები.
ვერ უშველიან დურგლები,
და ვეღარც კალატოზები
ტირის რუისის გლეხობა:
დღე ადგათ გლოვის სადარი.
ვაიმე ეჭვე ბედკრულო,
შენი პატრონი სად არი?!

ყინწი.

## ნაწყვეტი კლდეეთს

— კი, ძამია, თავმჯდომარე ხარ საბჭოსი, უნდა იზრუნო თუ არა სოფელზე?

— მაი შენ რაზე ამბობ, რაცხა სხვა ფიქრში ვიყავი, სულ არ შეეხებოდა ამ სოფელს, ისთე, საცხა რაცხაზე...

— აგერა საყოველთაო სწავლა რომ დეიწყო და აქანე კუდსაც რომ არ ანძრევთ საბჭოს ხალხი...

— მაი კომკავშირის საქმეა, ახალგაზრდები ქე გოუძლვებიან...

— კი, მარა, ბოშო, მათ ყოლიფერი გააკეთეს თითქმის, რაიც შეეძლოთ, შეაგროვეს ფონდი, გადმოგცეს. მარა ყური არ უნდა გააბარტყუნოთ სკოლის შესაკეთებლად მაინც?

— მაიც მისი საქმეა... თუ კი ყოლიფერი გააკეთა, მალადეც, აწი ჩვენდა აფერი დოუტოვებიათ სამუშაო და იგია!..

ეეეხ!

## გ ა მ ო ი გ ო ნ ა!



კლდეთის ფოსტის დამტარებელს
ეზარება ტარება.
რის გაზეთი, რის წერილი,
გლეხებს არ ეკარება...
მაგრამ ბიჭი ბრძენი გახლავთ.
გული ბევრჯერ ილოჩა
და ბოლო დროს მან ერთბაშად
აი რა მოიგონა:
სოფელ კლდეთში ქარი იცის —
ყოველ დროს და თარიღებს...
ეს ყმაწვილი — ხეზე ადის
ასე ფოსტას არიგებს.
ადის მაღლა და ქარს უცბად
თითქოს შეაბერინებს,
შემდეგ ჰფანტავს სიმაღლიდან
გაზეთებს და წერილებს...

ბრაწი.

## დ ა მ ქ ა შ ი

— რა არის დამქაში?

— დამქაშია მეორე მეზურნე, რომელიც პირველის დაკვრას შეუწყობს ხელს და რასაც დაუწყებს, იმას გაუმეორებს უშნო ყბების გაბერვით... მაგრამ, რაზე მეკითხები?

— არა, აგერა, გაზეთ „კოლექტივიზაცია"-ში რომაა ცნობა სოფელ ჯინჯვათზე, კულაკების დამქაშია მელენტი კვასხაძეო, და...

— ჰო, ეგ სხვანაირი დამქაშია... ეგ თვითონ კი არ ბერავს ზურნას, არამედ კულაკების ჩაბერილზე თვითონ ბუქნავს.

დაჰკა!

## ს ც ე ნ ა კ ვ ა ლ ი თ შ ი

— არიქაა! კოლმეურნეობის სკოლა ინგრევა, უშველეთ!

— დეინგრეს ბარე და იგია! რა ხანია ვყვირით სკოლა შესაკეთებელია, ნივთები აღარ ვარგა, მარა ვეფერი რომ ვერ გავაგებიეთ ვისაც ეხება?! აგერა წერა-კითხვის სკოლების გახსნასაც ქე სძინავს სალათას ძილით, მარა საბჭოს რომ ძილქუში დასწოლია?! მთლა რომ დეინგრევა—მაშინაც არ გამოიღვიძებს?!

— მაშ, იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავნააანიიინაო?!

— ჩვენო ძილის გუდა საბჭოვ, არ გაგაღვიძააოოო!..

ყიულიყო!

## ქირს დავთრები!

ჩვენს ქვეყანას აუარებელი ქაღალდი სჭირდება, ზოგიერთი დაწესებულების ხელმძღვანელები კი დაუშვებელი გულგრილობით ეკიდებიან ქაღალდის მოხმარებას. აწარმოებენ ათასნაირ დავთრებს, წიგნებს და მიმოწერას.

ქაღალდის დაზოგვის მიზნით დღეიდან ვაუქმებთ ყველა საანგარიშო დავთრებს და ყოველნაირ საბუთებს მოსპობილად ვაცხადებთ. ჩვენის აზრით, სადაც არტელია და კოლექტივი, იქ მით უმეტეს ასეთი ანგარიშწარმოება პატიოსან სიტყვაზე უნდა იყოს დამყარებული.

ამავე დროს ვსპობთ მოლარის და მოანგარიშის თანამდებობას და არტელის მთელ ქონებას (ფულად) გამგეობის წევრები ვინაწილებთ საკუთარ ჯიბეებში...

ანგარიშ - წარმოების ამნაირად გამარტივების გამო, მიზანშეწონილად ვთვლით ყველა სარევიზიო კომისიების გაუქმებას (სულერთია, ისინი მაინც არაფერს აკეთებენ).

ს. ცილორას არტელის გამგეობა

## დეპეშა საიქიოდან

ვინც პირველმა ნახოს ეს დეპეშა საკუთარ ხელში გადასცეს ს. ცაგერში მცხოვრებ ექიმ ლიზა კოპალიანს.

დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ საიქიოში მშვიდობით ჩამოვიდა თქვენი გამოგზავნილი ასოცდა შვიდი კაცი, ათი ბავში და ორმოცი ქალი. ბნელეთის მეფე თქვენს მოღვაწეობას ღირსეულად დააფასებს. განაგრძეთ ეგ დიდი მუშაობა ადამიანის მოდგმის მთლიანად გასანადგურებლად. ველით ახალ ლუკმას...

დიდი პატივისცემით
ოზერ-სულთამხუთაპი.

## „დამკვრელი"

ყველგან, ყველა საქმეში კაცი დამკვრელი უნდა იყოს. ყველამ თავისი საქმე იკითხოს. მე კი სხვაზე ნაკლები არავის ვეგონო და დღეიდან დამკვრელად ვაცხადებთ თავს.

უკვე კარგა ხანია დავიქირავე მოჯამაგირე დ. სოფრომაძე. არც რიგიანად ვაცმევ, არც რიგიანად ვაჭმევ. დღე და ღამ განუწყვეტლივ ვამუშავებ და ხელფასის ანაზღაურების ანგარიშში ვურტყამ ყოველ დილა-საღამოს.

ვინაო?!

რაიონის მიწატყის კავშირს ვინ რას კითხავს! მოვლენ — მათაც მივაყოლებ. ოღონდ ჩემს მხარეს იყოს ზე და სიმონეთის საბჭო...

შეჯიბრებაში ვიწვევ სხვა ხაზეინ-დამქირავებლებს.

ბიჭი ვარ და ქუდი მხურავს ვასილ პაპიძე.

# სად ხდება ეს ამბავი



## „რევიზორები“

— მობრძანდი, შე კაცო, რატო დგეხარ მანდ?

— არა მცალია, მინდოდა გამეფრთხილებინე...

— ა?

— ქე გეიგებდი, რომ ალმასკომმა შენდა ქვემდებარე გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის რევიზიისა აგვირჩია, რევიზიის კომისიაში რაცხა იღბლად მეც მოვხვდი და... კი ვიცი პურმარილის დაფასება, ძმა-ბიჭს რავა გავსწირავ? ჰო, და იმას ვამბობდი. შენ, როგორც გამგე, გაფრთხილებული ხარ აწი, და აპა შენ იცი... რევიზია... მშვიდობით..,

— რა გეჩქარება? პაწაი იმას გვაქნა, წაგვეჭამა რაცხა...

— არა, მერე... მარა, აჰ! აგერა ქე მოდიან კიდეც ატხანიკები...

გამოჩნდა კომისია...

— აა, გამარჯვებათ... სალამი, რავა ხარ, ჩემო?! რავაა სკოლის საქმე?!

— ისე, რავარც არც მტერს ეწყინება და არც მოყვარეს გაუხარდება.. დაბრძანდით...

— ხო, გვინდოდა რევიზია, ისთე, შინაურულად...,

— ჯერ მიგვერთვათ რამე, თორემ, ა? ვაი თუ მაინძლობა დამიწუნოთ-თქვა... ხე! ხე! ხე!..

— მერეც მოვესწრებით, მაი რაია... პუსტიაკი... ხო.., ა? რაიო? ბაღებიდან და ბოსტნებიდან კაი შემოსავალი აქვს სკოლას? სოფლიდანაც ქე იღებს ფულს?!— აპა რავა, ასთე უნდა, კონტორას ხომ არ ჩამოვრჩებით ბოშო! მიუხედავად ამისა მაინც შესაქებელია შენობა? ლპება?—ფული კი არავინ იცის სად მიდის?—ნიჩავო!.. რა, 40 ფუთი ღვინო აკლია?—ჩიპუხა!.. 20 ფ. ღვინის ფული საცხაა მიბნეული?--ტრინტრავა!.. აკლია ყოლიფერი?—რაი ვუყოთ, ბოშო!—ზოგ კაცს ჭკუა აკლია, და... (ჩვენზე კი არ იფიქრონ!) ამიზა ხომ არ დავკარგავთ პატივცემულ გვამს?! ატხანიკები ჩაწერეთ ასთე და ივია... ხო, რას ვამბობდი? მოვრჩეთ-თქვა რევიზია, არა?

— კი, ყოლიფერი ნათელია... გამგე რავა იკადრებდა ბოროტმოქმედებას?! მართალს არ ვამბობ?!

— კი, ისთეც გაგვიგრძელდა...

ასე დაამთავრა სოფილ კაცხის სკოლის სარევიზიო კომისიამ რევიზია...

ქე ვიც°.

## შუამდგომლობა

სალამი შოლტიანო! გავიგე დიდი კაცი ყოფილხარ, მარა ეგ ვერაფერი სასიამოვნოა, რომ ასე დრმოვიწყე, შენ ხომ იცი, ერთ დროს მეც დიდი კაცი ვიყავი: „ოქროში წევრი“ აბა მაშინ გენახე როგორ ვიყავი კაბინეტში ფეხ მორთხმული.

მარა დოუდგა კომუნისტებს თვალი, მაგენმა ჩამომაქვეითა ხონის კოოპერატივის გამგეთ. თუმცა ეხლა კოოპერატივის გამგეობა ქე ჯობია მაშინდელ კომისრობას!

ყველა ჩემი ნაცნობები მლოცავს. ან რატომ არ დამლოცავს, შენ ნუ მომიკვდები, რაც კარგი საქონელი მოვა ყველა მათ გავატანე, დავით ნინიაშვილს ყველაზე მეტი პატივი ვეცი, მარა ეხლა არავ ნ ჩემს მოღვაწეობას და წარსულ საქმეს ანგარიშს არ უწევს, რომ წინ . წამწიონ.

ამ საქმეს თუ შენ იკისრებ, ჩემო შოლტიანო, და წინ წაწევის მიზნით უკეთეს ადგილზე მომაკალათებ მადლობი ჩემზე იყოს. იმდენი იაფი საქონელი გამოგატანით ჩემი კოოპერატივიდან, რომ...

მხოლოდ პირობა ერთია: ჩემთვის ღირსეულ და შესაფერ ადგილზე უნდა დამაყენო...

პატივისცემით გოგინაშვილი.

—:—

შოლტიანის შუამდგომლობა— გორის ოლქის პროკურორთან.

გთხოვთ მოქალაქე გოგინაშვილს ღირსეული ადგილი მიუჩინოთ.... მუხლუხა.

## ყურმოკრული

— რას ამბობ, მართლა აგეთია სოფელ დისევის და კულბითის ... მიხა ცხაკაიას სახელობის მიწის საზოგადო შრომითი დამამუშავებელ ამხანაგობის თავმჯდომარე? ნეტა ჩვენცა გვყავდეს ასეთი ყოჩაღი ბიჭი! ა? მაშ ძაან იღვწის საერთო საქმისათვის, ა?! ჰეტა! ტა!.. მაინც რას შვრება?

— არავითარი მუშაობა...

— ჰმ! მერე?

— მერე, და... კარგის მეტი ყველაფერი...

— ჰე, და!..

— თავისი მიწები ამხანაგობიდან გასულ გლეხებს გაასხა დასამუშავებლად. მოსავლის განაწილების დროს კი მოსავლის ნახევარზე მეტი თავის ეზოში სტუცა...

— დაშხოშ!

— საფონდო მიწების მოსავალი გამგეობის წევრებში გაანაწილა...

— შენც ჭამე, მეც მაჭამე, ჰა?!

— ეს მაშინ, როცა ამხანაგობის ზოგიერთ წევრომს ხუთი გირვანქაც არ წაულია!..

— ახია თქვენზე! თქვენ რომ შნო არა გქონდეთ ჭამისა, ის რა დამნაშავეა?! ალმასკომი ან რაიკავშირი რაღას ამბობს?

— ვაცნობებთ, მაგრამ ყურებში ბამბა დაიცვის, ამ ზამთრის პირზე სმენა არ გაგვიცივდესო...

ამხა!

## ღია ბარათი სტალინისის რაიკომს

თქვენ ალბათ იცნობთ მოქალაქე წერეთელს. ის ერთ დროს ამავე რაიონის კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის თავმჯდომარედ იყო. მაშინ მას სრულიად შემთხვევით, თავის უნებურად შემოეჭამა 800 მანეთამდე და რამოდენიმე ხნით უფასოდ დაიკავა გორის გამსახლის ერთ-ერთი კამერა... ეხლა ეს პიროვნება თქვენ რაიკომმეურნეობათა კავშირში მდივნის თანამდებობაზე წამოასკუპეთ...

ამავე რაიკომმეურნეობათა კავშირში თქვენის დასტურით ინსტრუქტორად დააწინაურეს ცნობილი გიორგი ხარაზოვი. რით არის ცნობილი?

როგორ თუ რით? მან უცხოეთის კაპიტალის ტყვეებისათვის შეგროვილი მუშათა გროშები მიითვისა, ანუ შესანსლა და დღემდის არხეინად დაბრძანდება... (ალბათ თქვენ ის ფლანგვის ინსტრუქტორად დანიშნეთ. ამ შემთხვევაში თქვენი არჩევანი—ჩინებულია!).

კიდევ გინდათ? გინდათ და მტერი დაგრჩეთ ხელცარიელი: ალბათ ბორია ხოზბეროვიც მოგეხსენებათ, რომელსაც მთელი რაიონი იცნობს როგორც მოხერხებულსა და ნიჭიერ კაცს... ის ხომ სახდაზღვევის აგენტად იყო და ყალბი ქვითარების გაცემით რამდენიმე ასი მანეთი—შემოემუცლა...

ჩინებულია!.. ამბობენ ამ საქმეში ლამაზი ქალის შელებილი ტუჩები ურევია... ჰო ტუჩები, მათ რომელი ცხრაკლიტული გაუძლებს?!

დიახ... სტალინისის რაიონში საგანგებო მოხელეები შეგირჩევიათ. საუცხოვო თაიგული შეგიკონავთ. ჯილდოზე რომ მიდგეს საქმე, ალბათ—ერთი პირველთაგანი თქვენი იქნება.

ენახოთ!

შოლტის კუდი.

# დ ა ა მ შ ვ ი დ ა





**მდივანი.** (გამგეს) ვაიმე, დავიღუპე კაცი! შეხე, ჩემს შესახებ ყუთში საჩივარი ჩააგდო!

**გამგე.** მერე რამ შეგაშინა! ეგ საჩივარი მე არ უნდა ამოვიღო?

## ტელეფონთან

წკრრრ... რ წკრრრ. წკრრრ... ბარიშნა, რა მშვენიერი ხმა გაქვს! წარმოდგენილი მაქვს თვალები უფრო მშვენიერი და წარმტაცი გექნება... თქვენთან საუბარი როგორ მომწყინდება, მაგრამ თუ შეიძლება. ძალიან საჩქარო საქმე მაქვს. ... ... ჩაილურის უჯ-რედი...

... მადლობა!

უჯრედია? მაშ არტელის გამგეობა? ვინ შაქრო ღვინიაშვილი, ის ... ცნობილი კულაკი რომ არის? მერე და არტელში რა გინდა კაცო, მანდ ვინ შეგიშვა? რაო? ისი. ძმაკაცები გყავს და მათთან სტუმრათ იმყოფები? რაო, ვინა? ვანო ლაშქარიშვილი ხომ პარტიის წევრია! სანდრო გზირიშვილიც! პავლე ტიგიშვილიც! გიორგი ლაშქარიშვილიც!

ტყუილი ... არ დავიჯერებ! კოლექტივიდან არ გამოვიდოდა ეს ხალხი! პარტიას არ გაუტეხდა სახელს, კოლექტივს დაშლის გზაზე არ დააყენებდა...

რაო? შენმა პურმარილმა გასჭრა? კაცო და თვალები სად აქვს უჯრედს? ნუ თუ სოფელი მთლად უპატრონოა?

რაიო? იქაც გყავს ჩაპურმარილეული ხალხი? მერე და რაიკოლმეურნეობათა კავშირი? იქაც გყავს მეგობრები? ეგ კი არა მჯერა...

გიჟია, ოხერი! რას გადაეკიდე ამ ტელეფონს! მომცილოთ კაცო, მე უჯრედთან მაქვს საქმე... მდივანს დაუძახე, იმას მინდა მოველაპარაკო...

რაო? სძინავს? გააღვიძე, თუ ძმა ხარ და რასაც მთხოვ შეგისრულებ! რაო? რას მთხოვ? არ გავეცვივო? არც რაიკოლმეურნეობათა კავშირი? არც გურჯაანის რაიკომი?

არა, არ შეიძლება!

ტელეფონ... ტელეფონ! რაიკავშირი! რაიკომი! არ გესმით? სად ჯანაბას დაიკარგა ეს ხალხი! ხალხნო, ვინა ხართ, დაუძახეთ, გააღვიძეთ!

**ნოვრუზ ოღლი.**

## კ ო რ ტ ა ნ ე თ ი

ბორჯომის რაიონი

კორტანეთში წამოიწყეს
სამი წლის წინ ერთი სკოლა,
დამთავრებას ვერ ვღირსეთ,
თუმც დაგვჭირდა დიდი ბრძოლა.
საფუძველი ამოშენდა,

დამთავრება კი შორს არი,
რაც აშენდა მასაც ანგრევს,
ავდარი და ქარიშხალი!
სამკითხველო არ გაგვიხსნეს,
უკლუბოთ ვართ ისე-ისე,
უამათოდ ჩამკვდარია
გართობა და სიხალისე.

ეკლესია გვაქვს ერთი და,—
გადაიქცა თაგვის ბუდეთ.
თუმც გლეხებმა დაადგინეს:
„მოიხმარეთ, როგორც გსურდეთ",
მაგრამ საბჭომ ვერ გაბედა
შოლტიანო, მისი გახსნა,
ალბათ ღმერთის შეეშინდათ.
მაშ არა და როგორ ავხსნათ?

ელვა.

## ჩ ვ ე ნ ი ფ ო ს ტ ა

**კიპორჩხალას.** თქვენს ლექსში მთელი არევ-დარევა და გაუგებრობაა. მაგალითად:

ხეზე იჯდა შაშვი
როგორც დახლზე ნოქარი
და მღეროდა ტკბილად
ჰქონდა ენას შაქარი... და სხვა.

მართალია, ყოველ ნოქარს დახლიდან აფრენა მოელის, ისიც მართალია, რომ თვითეულ ნოქარს მეტი შაქრის ჭამით ენა დაშაქრული აქვს, მაგრამ ნოქრის ტკბილი სიმღერა მაინც არავის სმენია... თქვენ ალბათ იმ დროს ეხებით, როდესაც ეპოს ნოქრებს საკუთარი სავაჭროები ჰქონდათ... ჩვენ კი ამჟამად, ის დრო არაფრად გვაინტერესებს, ამიტომ თქვენი ლექსის დანარჩენ ნაწილი გიდორს ვუთავაზებთ.

**ჩანგალს.** იწერებით, რომ ეპოს თავმჯდომარე იაფ საქონელს თავის ძმა-კაცებს უნაწილებს და ბოლოს კითხულობთ:

**შალვა დოლონაძე**
**სჭამს ოკრიგის ეპოს,**
**საცოდავი ეპო—**
**რომელ ერთ კაცს ეყოს?!**

შეიკითხეთ გოლოთ მარელისის კოოპერატივის გამგე ტერენტი ლომსაძეს, ეპოს ჭაფვაში ისიც დახელოვნებულ კაცად ითვლება და სწორედ გამოგიანგარიშებთ, რამდენ ხანს კიდევ იარსებებს თქვენი კოოპერატივი...

**შოთა რუისელს.** გვიგზავნით ლექსს და გვწერთ, რომ გადაუდებლად ღირსეულ ალაგას მოვათავსოთ... რადგან თქვენი სახელი და ფსევდონიმი ძლიერ ენათესავება შოთა რუსთაველის სახელს, გისრულებთ თხოვნას და თქვენს ლექსს გადაუდებლად ვათავსებთ მისთვის ღირსეულ ადგილას. ამ ადგილას თქვენ ალბათ მოხვდებით.

**ეკალს.** ნამეტანი შეუწუხებიხართ იმას, რომ კვალითელი მღვდელი ქ. ხუსკივაძე დღე და ღამე ლოცულობს და ქადაგებს ადგილობრივ კოლექტივის დასაშლელად.

**ხუსკივაძე მღვდელი,**
**ღორი, ხალხის მგელი...**
**კოლექტივის დასაშლელად**
**გაიმართა ხელი...**
**შოლტო, ერთი კბილი გაჰკარ,**
**აგლეჯინე წვერი!**

სიამოვნებით შევასრულებდით თქვენ თხოვნას, მაგრამ სამწუხაროდ შოლტი ღორის ხორცს არ გიახლებათ...

## ქვემოქედელი

## „ქქეის კოლოფები"

— რა გააჭირეთ, შენი კვნესამე, ამ სავალდებულო სწავლით საქმე? ვისაც უნდა იმან და ივალდებულოს თავი და მე კი ისიც მეყოთა, სოფელს რომ ვუვლი!

— არა, მაინც.. ხალხი მოწყურებულია სწავლას, სკოლის შენობა არაა, მის ასაშენებლად ათასი ფუთი პური რომ ჩავაბარეთ კოოპერატივს, ზრუნვა უნდა თუ არა?

— იზრუნე და იგია, რას ჩამაცივდი?!

— სოფლის ერთი მეთაურთაგანი შენა ხარ, და...

— სად მცალია, მერე, სხვაგან მიმეჩქარის...

— არც სამკითხველოს შენობაა, ჟურნალ-გაზეთები სად ყრია არავინ იცის... რადიო სდუმს...

— აგრე არ ჯობს?!

— რაო, მახარე, ვინ მოვიდა?

— ექიმი... ჩვენი დიდი ხნის ნატვრა... ძლივს ეღირსა სოფელს..

— აა, კარგია.. ცხენი ჩამოართვით... მობრძანდით, ექიმო.. მარა!.. ჰმ!... არა, მახარე. შეკაზმე ისევ ცხენი... ბინა რომ არა გვაქვს? სად მოვათავსოთ?.. ა? ვერ მივიღებთ... წავიდეს უკან და, ისაა... ... მშვიდობით... კითხეთ, თუ გარედ მოიცდის ამ ზამთარს, ზაფხულისთვის ვუშოვნით ბინას...

და, ექიმის ცხენი კუდამოძუებული წამოძუნძულდა...

იქაური.

# „ყველა თავისას ჩიოდა"-ო



**მოწაფე.** ბიძია, ცოტა ქაღალდი მომეცი, რვეულებისთვის მჭირდება!
**ბიუროკრატი.** მომწყდი თავიდან! რის რვეულები მე რაღაზე ვწერო ცირკულიარები?